ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №42

3 აპრილი, 2020 | თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
11:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარის მ/შ;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
4. მიხეილ ამაშუკელი – კომისიის წევრი;
5. დავით რურუა – კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-032008718-03; 27.03.2020);

2. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200621-03; 02.03.2020);

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032008629-03; 26.03.20);

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის

ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (11-032009036-03; 30.03.20);

5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032009311-03; 02.04.2020);

6. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032009311-03; 02.04.2020).

სხდომას თავმჯდომარეობდა - შალვა ოგბაიძე.

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ვასილ აბულაძე** - სსიპ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე;

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27**

დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-032008718-03; 27.03.2020):

შ.ოგბაიძე – მოგესალმებით, მოგეხსენებათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში შედის ცვლილებები, ბატონო გაიოზი მოგვახსენებს დეტალურად.

გ.თალაკვაძე – მოგესალმებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში ღონისძიებების ღირებულების დაზუსტებით გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე. მოძიებული რესურსები გადანაწილდა სხვადასხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) ქვეპროგრამის ასიგნება - 30 000,0 ათასი ლარით;**
- საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება – 1 432,9 ათასი ლარით;
- სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) – 399,9 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი (კოდი 10 21) – 2 000,0 ათასი ლარი;
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (კოდი 10 26) – 1 585,2 ათასი ლარი;
- და სხვა.

გარდა ამისა, დაემატა ახალი ქვეპროგრამა - სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) – 2 200,0 ათასი ლარი, მომუშავეთა რიცხოვნობა 153 ერთეული.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- **საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 31 000,0 ათასი ლარით;**
- ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) პროგრამის ასიგნება – 1 865,1 ათასი ლარით;
- გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნება – 1 014,2 ათასი ლარით;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 1 111,7 ათასი ლარი;
- მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) – 239,0 ათასი ლარით.
- და სხვ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-032008718-03; 27.03.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (12-03200621-03; 02.03.2020):

გ. თალაკვაძე – გაგაცნობთ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხს, წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 1,043,916.5 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1,160,126.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 111.1%.

2019 წლის ბიუჯეტში სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 14,752.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 136%-ია.

მათ შორის: მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 1,443.8 ათასი ლარი. მოგეხსენებათ, 2018 წელს დაწესდა ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე მოსაკრებელი.

რაც შეეხება ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულ შემოსავლებს მთლიანობაში 59,281.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 148.2%-ია და წინა წლის ანალოგიურ

მაჩვენებელთან შედარებით 21,031.2 ათასი ლარით მეტია, რაც ძირითადად გამოწვეულია საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ამოღებული ჯარიმების ზრდით.

ასევე შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 10,302.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 185.6%-ია.

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ტრანსპორტის განვითარება დაფინანსდა 112 389 641,16 ათასი ლარით. კერძოდ, დაფინანსდა შემდეგი ქვეპროგრამები:

01 02 01 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები: - 11,760.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 90.1%-ია.

01 02 02 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია: - დაფინანსდა 25,369.0 ათასი ლარით.

06 02 11 საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება - დაფინანსდა - 62,800.0 ათასი ლარით.

შ.ოგბაიძე – კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ პროექტს, რათა საკითხი განვიხილოთ საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (12-03200621-03; 02.03.2020) განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032008629-03; 26.03.20):

ვ. აბულაძე – მოგესალმებით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილებები შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებით დამტკიცებულ წესში.

კერძოდ, ცვლილება შედის დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „კ” ქვეპუნქტში და ნებართვის მფლობელს განესაზღვრება შემდეგი სანებართვო პირობა:

„კ) ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში ქ. თბილისის ტერიტორიაზე საკუთრებაში ან სარგებლობაში იქონიოს თითოეული ლოტისთვის მინიმუმ 1 საავტობუსო პარკი. უზრუნველყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებით დამტკიცებული ლოტისათვის განსაზღვრული ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების მაქსიმალური რაოდენობის არასამუშაო დროს საავტობუსო პარკში დგომა, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა“.

დადგენილებაში თავის მხრივ სიახლეს წარმოადგენს მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის, „ა[1]“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც ნებართვის მფლობელს უფლება აქვს:

„ა[1]) საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობისას, მის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ნებართვის გამცემის წერილობითი თანხმობით, განსაზღვროს ავტობუსების დისლოკაციის ადგილები და მათი მარშრუტები“.

ცვლილება შედის წესის მე-18 მუხლში და ემატება „ი“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით ნებართვის გამცემის უფლება-მოვალეობად განისაზღვრება:

„ი) საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ვადით უფლებამოსილია/ვალდებულია შეაჩეროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელება.“

დადგენილებაში აღნიშნული ცვლილებების შეტანის აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების ფაქტის გამო. სპეციალურად შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე 18 მარტიდან აიკრძალა M_2 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანა. აღნიშნული გადაწყვეტილების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის №20.331.434 განკარგულების საფუძველზე, თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვების მფლობელებს დაევალათ მგზავრთა გადაყვანის დროებით შეჩერება 2020 წლის 18 მარტიდან მთავრობის განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებამდე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032008629-03; 26.03.20) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (11-032009036-03; 30.03.20):

ვ. აბულაძე - წარმოგიდგენთ შემდეგ საკითხს, პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებით დამტკიცებულ წესში.

წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, A და B კატეგორიის ნებართვის მქონე ტაქსის მძღოლებს აღარ ექნებათ ვალდებულება შესაბამისი ნებართვები განათავსონ სატრანსპორტო საშუალებაში თვალსაჩინო ადგილას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (11-032009036-03; 30.03.20)განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

5. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032009311-03; 02.04.2020):

ვ.აბულაძე – წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-32 დადგენილებაში, 1^1 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით.

საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა ნებართვების მფლობელი კომპანიების წინაშე არსებული პრობლემები და 2020 წლის 31 მარტის N208 დადგენილებით მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნებართვის გაცემის ფასი 2022 წლის 1 აპრილამდე განისაზღვრება (15 თხუთმეტი) ლარის ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება უნდა აისახოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის დადგენილებაში.

სწორედ ამ მიზნით, წარმოდგენილია ცვლილებების პროექტი, რომლის მიხედვითაც, M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნებართვის გაცემის ფასი 2017 წლის პირველი მაისიდან 2022 წლის პირველ აპრილამდე განისაზღვრება 15 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით.

<u>დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდება 2020 წლის პირველი აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.</u>

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032009311-03; 02.04.2020) განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

6. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032009311-03; 02.04.2020):

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილებები შედის „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში და დადგენილების პირველი და მე-2 მუხლები ყალიბდება ახალი რედაქციით.

პროექტში ჩამოთვლილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მგზავრობის ტარიფები სხვადასხვა მარშრუტებზე, ნებართვის მფლობელმა კომპანიებმა ამ ტარიფებით უნდა გასწიონ მომსახურება.

ყველა მარშრუტზე, სადაც მგზავრობის ტარიფი შეადგენს 0,80 ლარს, მგზავრობის ტარიფი ერთი და იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას განისაზღვრა - 0,65 ლარის ოდენობით.

ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული მგზავრობის ტარიფები ძალაშია 2017 წლის პირველი მაისიდან 2022 წლის პირველ აპრილამდე.

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდება 2020 წლის პირველი აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას**

მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032009311-03; 02.04.2020) განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ

შალვა ოგბაიძე